საინფორმაციო ფურცელი

აღნიშნული საინფორმაციო ხასიათის ფურცელი წარმოადგენს არასრულ ინფორმაციას დაზღვევის პირობების შესახებ და არ არის დაზღვევის ხელშეკრულების იდენტური იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი.საინფორმაციო ფურცლის გაცნობა და მასთან დაკავშირებული განმარტებების გაკეთება არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს და შესაბამისად, მოთხოვნებს მხარეთა შორის.

მზღვეველის დასახელება		**სს „გრინ დაზღვევა საქართველო“**	
დაზღვევის ხელშეკრულების სახე	**მოტოციკლის დაზღვევა**	**მესამე პირის მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა**	**მძღოლის და მგზავრის უბედური შემთხვევისგან დაზღვევა**
დაზღვეული რისკის აღწერილობა და სადაზღვევო დაფარვის პირობები	**მოტოციკლის დაზღვევის პირობების მე-2-ე მუხლით გათვალისწინებული რისკები:** **2.1. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მოტოციკლისათვის/კვადროციკლისთვის/ბაგისთვის მიყენებული ნებისმიერი დაზიანება მე-8 მუხლში გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა. ზარალი მიყენებული მოტოციკლის/კვადროციკლის/ბაგის დაკარგვით/დაზიანებით ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო:** **• ქურდობა/ძარცვა/ყაჩაღობა (მათ შორის ნაწილობრივი ქურდობა) მოპარული/გატაცებული მოტოციკლის/კვადროციკლის/ბაგის აღმოჩენისა და დაბრუნების შემთხვევაში ანაზღაურდება ამ მოტოციკლისადმი/ /კვადროციკლისადმი/ბაგისადმი მიყენებული ნებისმიერი დაზიანება მე-8 მუხლში გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა.** **• ხანძარი/ აფეთქება** **• სტიქიური მოვლენები** **• მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანი/ვანდალიზმი.** **დამატებითი მომსახურება/ბენეფიტი:** **საევაკუაციო მომსახურება :** **• სადაზღვევო შემთხვევისას;** **• არასადაზღვევო შემთხვევისას წელიწადში ერთხელ თბილისის მასშტაბით.** **სამოქალაქო პასუხისმგებლობა მესამე პირთა წინაშე პირობების მე-2 მუხლი:** **2. დაზღვეული მოტოციკლის/კვადროციკლის/ბაგის უფლებამოსილი მძღოლის მიერ ექსპლუატაციისას მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და/ან ქონებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობის დადგომა.** **მძღოლისა და მგზავრის უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის პირობების მე-2 მუხლი:** **2. დაზღვეულის გარდაცვალება სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მომხდარი უბედური შემთხვევის დადგომის მომენტიდან თორმეტი კალენდარული თვის განმავლობაში, თუ გარდაცვალება იქნება ამ უბედური შემთხვევის უშუალო და პირდაპირი შედეგი;** **დაზღვეულის სხეულის დაზიანება სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მომხდარი უბედური შემთხვევის დადგომის მომენტიდან თორმეტი კალენდარული თვის განმავლობაში, თუ სხეულის დაზიანება იქნება ამ უბედური შემთხვევის უშუალო და პირდაპირი შედეგი;** **გარდა ამისა, დაზღვეულს აქვს უფლება მიიღოს ანაზღაურება პუნქტი 7.1.2. პირობების თანახმად.** **ანკეტა-განაცხადის შევსებისას დამზღვევი აკეთებს თავის არჩევანს რაც აისახება სადაზღვევო პოლისში. მზღვეველი უზრუნველყოფს სადაზღვევო ანაზღაურებას სადაზღვევო პოლისითა და წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ოდენობითა და წესით.**		

პრემიის, გარდა მომხმარებლის მიერ ნებისმიერი სხვა ფინანსური ხარჯის გაწევის წინაპირობები, ოდენობა და წესი	**მოტოციკლის დაზღვევის პირობების 7.5.პუნქტით გათვალისწინებული - ექსპერტიზის ხარჯები; 6.2.20. პუნქტით გათვალისწინებული - საგზაო შემთხვევის გამო საჯარიმო სადგომზე ყოფნის ხარჯები.**

ფრანშიზის სახე, ოდენობა და გამოყენების წინაპირობები	**მოტოციკლის დაზღვევის პირობების 1-ელ მუხლში განსაზღვრულია: ფრანშიზა - სერტიფიკატში მითითებული თანხა რომლის ანაზღაურებისაგან თავისუფალია მზღვეველი; ფრანშიზა - ასეთის არსებობის შემთხვევაში, გათვალისწინებულია პოლისში.**

დაზღვევის გამონაკლისი პირობების სრულყოფილი ჩამონათვალი	**მოტოციკლის დაზღვევის პირობების მე-8 მუხლით გათვალისწინებული ანაზღაურების გამონაკლისებით მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი: 8.1. დაზიანებაზე, რომელიც არსებობდა სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე. 8.2. ზარალზე, რომელიც განიცადა დამზღვევმა იმის გამო რომ არ იყო შესაძლებელი დაზღვეული მოტოციკლის/კვადროციკლის/ბაგის გამოყენება (სხვა მოტოციკლის/კვადროციკლის/ბაგის დაქირავების ღირებულების ჩათვლით). 8.3. მექანიზმების და ელექტრომოწყობილებების გაფუჭების, მწყობრიდან გამოსვლის, გატეხვის ხარჯებს; ძრავის, სიჩქარეების გადაცემათა კოლოფის ნებისმიერ დაზიანებას, გარდა პირდაპირი მექანიკური დაზიანების შემთხვევისა; 8.4. შემთხვევაზე, რომლის დადგომის დროს დაზღვეული მოტოციკლი/კვადროციკლი/ბაგი არ გამოიყენებოდა იმ მიზნით, რომელიც მითითებული ან აღნიშნული იყო მოტოციკლის დაზღვევის განაცხად-ანკეტაში; 8.5. ზარალზე და დაზიანებაზე, რომელიც გამოწვეულია დაზღვეული მოტოციკლის/კვადროციკლის/ბაგისგადატვირთვით(მოტოციკლზე/კვადროციკლზე/ბაგში იმყოფებოდა მგზავრთა ის რაოდენობა, რომელიც ხელს უშლიდა მანქანის მართვას ან საფრთხეს უქმნიდა დაზღვეულ ტრანსპორტში მყოფი ნებისმიერი პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ნებისმიერი სახის ქონების უსაფრთხოებას), ტექნიკური გაუმართაობით, არასაგზაო პირობებში ექსპლუატაციით, მისი მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების შეგნებული დარღვევით; 8.6. შემთხვევაზე, რომელიც შედეგად მოჰყვა გასაღების მოტოციკლში/კვადროციკლში/ბაგში დატოვებას, გასაღების არაუფლებამოსილი მძღოლისთვის გადაცემას, მათ შორის გასაღების ნებისმიერი დაცვის, პარკირების ან სხვა მსგავსი სამსახურისთვის გადაცემას; 8.7. ცვეთაზე, კოროზიაზე, დაჟანგვაზე, თანდაყოლილ დეფექტზე, შეუსაბამო დიზაინზე, დეფექტური მასალების გამოყენებაზე და სხვა ბუნებრივ თვისებებზე, შეკეთებაზე ან შენაცვლებული ნაწილის იმ ღირებულებაზე, რომელიც მოხმარდა დაზღვეული მოტოციკლის/კვადროციკლის/ბაგის სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას; 8.8. დაზღვეული მოტოციკლის/კვადროციკლის/ბაგის ტექნიკური მომსახურებისა და საგარანტიო შეკეთების ხარჯებზე; 8.9. მუხრუჭების მექანიკურ ან ელექტრონულ წუნზე ან ამით გამოწვეულ მოტოციკლის/კვადროციკლის/ბაგის დაზიანებაზე;**

დაზღვევის გამონაკლისი პირობების სრულყოფილი ჩამონათვალი	**8.10. უშუალოდ დაზღვეული მოტოციკლის/კვადროციკლის/ბაგის საბურავებზე მიყენებულ დაზიანებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საბურავების ასეთი დაზიანება, თავის მხრივ, გამოწვეული არის იმ სადაზღვევო შემთხვევის დადგომით, რომლის გამოც, დამზღვევი (დაზღვეული) უფლებამოსილია, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება მოტოციკლის/კვადროციკლის/ბაგის ნაწილობრივი და სრული განადგურების რისკზე; ამასთან ანაზღაურებას არ ექვემდებარება სადაზღვევო შემთხვევა თუ დამზღვევი მოტოციკლს/კვადროციკლს/ბაგს მართავდა 4 (ოთხი) წელზე მეტი წლოვანების საბურავებით.** **8.11. დაზღვეული მოტოციკლის/კვადროციკლის/ბაგის კუთვნილი აუდიო აპარატურის დაზიანებაზე;** **8.12. უბედურ შემთხვევაზე, დანაკარგზე ან დაზიანებაზე, რომლის ხდომილების დროს დაზღვეული მოტოციკლი/კვადროციკლი/ბაგი იმყოფებოდა დაზიანებულ, მართვისათვის გამოუსადეგარ მდგომარეობაში, ელექტრო მოწყობილობა/მექანიზმები იყო გაუმართავ მდგომარეობაში;** **8.13. წინამდებარე პირობებსა და სადაზღვევო პოლისში აღნიშნულის გარდა რომელიმე სხვა რისკზე;** **8.14. იმ ქონებისათვის მიყენებულ ზიანზე, რომელიც წარმოადგენს დაზღვეული პირის საკუთრებას, მინდობილობით ინახება მასთან, ან რომლის გადაზიდვა ხორციელდება დაზღვეული მოტოციკლით/კვადროციკლით/ბაგით ანდა ზარალი გამოწვეულია დაზღვეულ მოტოციკლზე/კვადროციკლზე/ბაგზე მიმაგრებული ნებისმიერი მისაბმელით;** **8.15. შემთხვევაზე დაზღვეული მოტოციკლის/კვადროციკლის/ბაგის მართვისას არაუფლებამოსილი პირის მიერ, გარდა დაზღვეული მოტოციკლისათვის/ კვადროციკლისათვის/ბაგის ძარცვა/ყაჩაღობით ან მათი მცდელობით მიყენებული დაზიანებისა;** **8.16. შემთხვევაზე მოტოციკლის/კვადროციკლის/ბაგის გაქირავებისას, თუ ამგვარი გამოყენება არ არის მითითებული მოტოცილის/კვადროციკლის/ბაგის დაზღვევის განაცხად-ანკეტაში;** **8.17. შემთხვევებზე მოტოციკლის/კვადროციკლის/ბაგის აეროდრომის ან აეროპორტის ტერიტორიაზე მართვისას, გარდა სპეციალურ ავტოსადგომებზე მომხდარი შემთხვევებისა;** **8.18. შემთხვევაზე, რომლის დროსაც მოტოციკლის/კვადროციკლის/ბაგის მართვისას მძღოლი იმყოფებოდა ალკოჰოლური ან ნარკოტიკული (ფსიქოტროპული) ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ (მიუხედავად იმისა, ზარალი დაზღვეული მოტოციკლის/კვადროციკლის/ბაგის უფლებამოსილი მძღოლის მიზეზით/ბრალით დადგა, თუ სხვა მესამე პირის მიზეზით/ბრალით); უფლებამოსილი მძღოლის თვითმკვლელობას ან თვითმკვლელობის მცდელობას ან ისეთ განზრახ ქმედებას, რომელიც მიზნად ისახავდა შემთხვევით გამოწვეული შედეგის დადგომას;** **8.19. დამზღვევის ან მისი წარმომადგენლის განზრახ ან სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე;** **8.20. გარემოებებზე, რომელიც ზრდის სადაზღვევო რისკის დადგომის ალბათობას, ცნობილია დამზღვევის ან მისი წარმომადგენლისათვის და ამის შესახებ მან დაუყოვნებლივ არ აცნობა მზღვეველს წერილობითი ფორმით ან მზღვეველს მიეწოდა ყალბი ან არასრული ინფორმაცია (დოკუმენტები) აღნიშნულის შესახებ;**

დაზღვევის გამონაკლისი პირობების სრულყოფილი ჩამონათვალი	**8.21 შემთხვევებზე, რომელიც გამოწვეულია:** **8.21.1 იონიზირებული რადიაციით, ბირთვული ან სხვა სახის მავნე ნარჩენებიდან მიღებული რადიაციით და დაბინძურებით;** **8.21.2. რადიოაქტიური, ფეთქებადი, ბირთვული ნივთიერების შემცველი აირის ბუნებრივი მდგომარეობის ცვლილებით;** **8.21.3. მოტოციკლის/კვადროციკლის/ბაგის პროფესიონალურ ან ორგანიზებულ რბოლაში, ისევე როგორც საჩვენებელ გამოსვლებში მონაწილეობით, ან მათთვის მომზადებისას.** **8.21.5. შედეგებზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია საომარი მოქმედებებით, დაპყრობით, სამოქალაქო ომით, მიუხედავად იმისა, აღნიშნული მდგომარეობა გამოცხადებულია სახელმწიფო ხელისუფლების მიერ თუ არა, განსაკუთრებული, საგანგებო, სამხედრო მდგომარეობით, მასობრივი არეულობით, აჯანყებით, ლოკაუტით, დიქტატორული რეჟიმით, ადგილობრივი ან სახელმწიფო ხელისუფლების ბრძანების თანახმად საკუთრების საზოგადო მფლობელობაში გადაცემით, კონფისკაციით ან ჩამორთმევით, ტერორიზმით ან მისი ნებისმიერი გამოვლენით და სხვა ანალოგიური მიზეზებით;** **8.22. შემთხვევებზე, როდესაც დამზღვევი (დაზღვეული) მესამე პირის წინაშე თავის ვალდებულებებს აღიარებს მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე;** **8.23. შემთხვევებზე, როდესაც დამზღვევი (დაზღვეული) დაზიანებული მოტოციკლის/კვადროციკლის/ბაგის აღდგენით-სარემონტო სამუშაოებს განახორციელებს მზღვეველთან შეუთანხმებლად;** **8.24. შემთხვევებზე, რომელთა დადგომის დროსაც დამზღვევს აქვს დავალიანება მზღვეველის წინაშე ანუ გადაუხდელი აქვს შესაბამისი პერიოდის სადაზღვევო პრემია;** **8.25. მოტოციკლის/კვადროციკლის/ბაგის გატაცების შემთხვევებზე, თუ ასეთის დროს დაზღვეული მოტოცილის/კვადროციკლის/ბაგის სარეგისტრაციო მოწმობა დატოვებული იყო გატაცებულ სატრანსპორტო საშუალებაში;** **8.26. ავტოსაგზაო შემთხვევებზე როცა უფლებამოსილი მძღოლი არ ფლობდა შესაბამისი კატეგორიის მოტოციკლის/კვადროციკლის/ბაგის მართვის მოწმობას (მძღოლის მოწმობას);** **8.27. გაჩერებული დაზღვეული მოტოციკლის/კვადროციკლის/ბაგის დაუდგენელი პირის მიერ ან დაუდგენელ ვითარებაში დაზიანების/განადგურების შემთხვევებში, თუ არ მოხდება მზღვეველთან და საპატრულო პოლიციასთან დაუყოვნებლივი დაკავშირება და ადგილი ექნება მზღვეველის წარმომადგენლის მისვლამდე მოტოციკლის/კვადროციკლის/ბაგის ადგილიდან დაძვრას;** **8.28. შემთხვევებზე, თუ იგი დადგა დადგენილი პარკირების წესების დარღვევის გამო შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ დაზღვეული მოტოციკლის/კვადროციკლის/ბაგის საჯარიმო გადაყვანის/გადადგილების დროს, ასევე, საჯარიმო სადგომზე განთავსებისას;** **8.29. თუ დაზღვეულ ინტერესთან მიმართებაში ადგილი ჰქონდა ორმაგ დაზღვევას, მაგრამ დამზღვევს ასეთი ორმაგი დაზღვევის შესახებ მზღვეველისათვის ინფორმაცია არ წარუდგენია წერილობითი ფორმით.** **8.30. საგზაო შემთხვევის გამო მოტოციკლის საჯარიმო სადგომზე ყოფნის ხარჯებზე.** **8.31. სადაზღვევო შემთხვევაზე, თუ აღნიშნული სადაზღვევო შემთხვევა გამოწვეულია დამზღვევის ან მისი წარმომადგენლის განზრახ ქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით.**

დაზღვევის გამონაკლისი პირობების სრულყოფილი ჩამონათვალი	**8.32. შემთხვევებზე როცა უფლებამოსილი მძღოლი (მიუხედავად ბრალეულობისა) არ მოძრაობდა იმ გზაზე, გზის სავალ ნაწილზე, მოძრაობის ზოლზე ან ბილიკზე, რომელიც მისი კატეგორიის/ქვეკატეგორიის საგზაო მოძრაობის მონაწილისათვისაა განკუთვნილი.** **8.33. ანაზღაურების გამონაკლისს წარმოადგენს ასევე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.** **სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობების მე-8 მუხლი:** **8.1. უფლებამოსილი მძღოლის მიერ განზრახ ან მისი დაუდევრობით გამოწვეული ზიანი;** **8.2 ზიანი მიყენებული შემდეგი გარემოებების არსებობისას:** **8.2.1 როდესაც მოტოციკლის/კვადროციკლს/ბაგს მართავდა არაუფლებამოსილი მძღოლი;** **8.2.2 როდესაც მოტოციკლი/კვადროციკლი/ბაგი იმყოფებოდა სადაზღვევო პოლისში მითითებული ტერიტორიული ფარგლების გარეთ;** **8.2.3.როდესაც მოტოციკლის/კვადროციკლის/ბაგის მართავდნენ ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოთროპიული ნივთიერებების ზეგავლენის ქვეშ;** **8.2.4.როდესაც მოტოციკლს/კვადროციკლს/ბაგს იყენებდნენ მოტოციკლის/ კვადროციკლის/ბაგის დაზღვევის განაცხად-ანკეტაში მითითებული მიზნებისაგან განსხვავებული დანიშნულებით;** **8.3. ზიანი რომელიც არ მიეყენა მესამე პირთა სიცოცხლეს და ქონებას;** **8.4. ზიანი, რომელიც მიეყენა მესამე პირთა ქონებას მისი მოტოციკლით/კვადროციკლით/ბაგით ტრანსპორტირებისას ან თუ ეს ქონება ჩაბარებული ჰქონდათ დამზღვევს შესანახად, სამეთვალყურეოდ ან სამართავად;** **8.5. ზიანი, რომელიც მიეყენა მესამე პირთა სიცოცხლეს და ქონებას მოტოციკლის/კვადროციკლის/ბაგის პროფესიონალურ ან ორგანიზებულ რბოლაში, ისევე როგორც საჩვენებელ გამოსვლებში მონაწილეობისას, ან მათთვის მომზადებისას;** **8.6. ზიანი, გამოწვეული სახელმწიფო ორგანოების მიერ უფლებამოსილი მძღოლის დაპატიმრების ან მისი ქონების კონფისკაციის მცდელობისას;** **8.7. ზიანი გამოწვეული ფორს-მაჟორის შედეგად: ომი (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი), სამოქალაქო არეულობა, აჯანყება, რევოლუცია, ხანძარი, წყალდიდობა და სხვა ნებისმიერ არაკონტროლირებადი მოვლენა;** **8.8. ზიანი მიყენებული შემდეგი მიზეზით (მიუხედავად იმისა კონტროლირებადია თუ არა) ბირთვული იარაღის აფეთქება (თუნდაც შემთხვევითი), ბირთვული რეაქცია, რადიაცია, ან რადიოაქტიული დაბინძურება.** **8.9. გამონაკლისს მოცემული სახის დაფარვისათვის წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც დაზარალებული წარმოადგენს:** **ა) პირს, რომელიც უბედური შემთხვევის მომენტში მართავდა დაზღვეულ ავტოტრანსპორტს; ან** **ბ) დაზღვეული პირის (ასევე უფლებამოსილი მძღოლის) ოჯახის წევრს, ასევე, დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების მგზავრს;** **გ)დაზღვეულის ხელქვეითს მათ შორის არსებული ხელშეკრულების ძალით.** **8.10 მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი, ასევე, პასუხისმგებლობაზე, რომელიც წარმოშობილია ნებისმიერი სხვა კონტრაქტის ან შეთანხმების საფუძველზე, გარდა წინამდებარე ხელშეკრულებისა.**

დაზღვევის გამონაკლისი პირობების სრულყოფილი ჩამონათვალი	**8.11 მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ ქონებისათვის მიყენებულ ზიანზე, რომელიც წარმოადგენს უფლებამოსილი მძღოლის საკუთრებას, მინდობილი საკუთრების სახით ინახება მასთან, გადაიზიდება დაზღვეული ავტოტრანსპორტით ან დაზღვეულ ავტოტრანსპორტზე მიმაგრებული ნებისმიერი მისაბმელით.** **8.12 შემთხვევებზე როცა უფლებამოსილი მძღოლი (მიუხედავად ბრალეულობისა) არ მოძრაობდა იმ გზაზე, გზის სავალ ნაწილზე, მოძრაობის ზოლზე ან ბილიკზე, რომელიც მისი კატეგორიის /ქვეკატეგორიის საგზაო მოძრაობის მონაწილისათვისაა განკუთვნილი.** **8.13 ანაზღაურების გამონაკლისს წარმოადგენს ასევე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.** **მძღოლისა და მგზავრის უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის** **პირობების მე-8 მუხლი:** **ანაზღაურების გამონაკლისები. მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი/არ ანაზღაურებს:** **8.1 წინამდებარე პირობებსა და სადაზღვევო პოლისში აღნიშნულის გარდა რომელიმე სხვა რისკზე;** **8.2 იმ შემთხვევით გამოწვეულ ზარალს, რომელთან დაკავშირებითაც დამზღვევმა მზღვეველს მიაწოდა ყალბი და მცდარი ინფორმაცია;** **8.3 ავტოსაგზაო შემთხვევაზე რომლის ხდომილების დროს დაზღვეული მოტოციკლი/ბაგი/მოპედი იმყოფებოდა დაზიანებულ, მართვისათვის გამოუსადეგარ მდგომარეობაში;** **8.4 შემთხვევაზე თუ დაზღვეულ მოტოციკლს/ბაგს/მოპედს მართავდა არაუფლებამოსილი მძღოლი;** **8.5 შემთხვევაზე, რომლის დროსაც მოტოციკლს/ბაგს/მოპედს მართვისას მძღოლი იმყოფებოდა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ (მიუხედავად იმისა, ზარალი დაზღვეული ავტომობილის უფლებამოსილი მძღოლის მიზეზით/ბრალით დადგა, თუ სხვა მესამე პირის მიზეზით/ბრალით); ასევე უფლებამოსილი მძღოლის თვითმკვლელობის ან თვითმკვლელობის მცდელობის ან ისეთ განზრახ ქმედებაზე, რომელიც მიზნად ისახავდა შემთხვევით გამოწვეული შედეგის დადგომას;** **8.6 დამზღვევის ან უფლებამოსილი მძღოლის განზრახ გამოწვეულ სადაზღვევო შემთხვევაზე ან სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე;** **8.7 შემთხვევებზე რომელიც მოყვა მოტოციკლის/ბაგის/მოპედსი მონაწილეობას ნებისმიერი ხასიათის რბოლაში ან სისწრაფის გამოცდაში, ისევე როგორც მათთვის მომზადებას;** **8.8 შემთხვევებზე, როდესაც დამზღვევი ან მოსარგებლე უარს განაცხადებს მზღვეველზე დაზიანებაზე პასუხისმგებელი მესამე პირის მიმართ რეგრესული მოთხოვნის გადაცემაზე ან რეგრესის უფლების გამოყენება შეუძლებელი გახდა დამზღვევის ან მოსარგებლის ქმედებით;** **8.9 შემთხვევებზე, რომელთა დადგომის დროსაც დამზღვევს აქვს დავალიანება მზღვეველის წინაშე -გადაუხდელი აქვს შესაბამისი პერიოდის სადაზღვევო პრემია;** **8.10 დამზღვევის ან უფლებამოსილი მძღოლის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეულ შემთხვევებს;**

დაზღვევის გამონაკლისი პირობების სრულყოფილი ჩამონათვალი	**8.11 ანაზღაურების გამონაკლისს წარმოადგენს ასევე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები;** **8.12 ხარჯებს დაკავშირებულს მძღოლისა და მგზავრების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან/გარდაცვალებასთან სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 12 კალენდარული თვის გასვლის შემდეგ;**
სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას შეტყობინების გაგზავნის ფორმა	**მოტოციკლის დაზღვევის პირობების მე-6 მუხლის მიხედვით დამზღვევი ვალდებულია** **6.2.9. დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს მზღვეველს პოლისში მითითებულ ტელეფონის ნომერზე და გადასცეს შემდეგი ინფორმაცია: პოლისის ნომერი; დაზღვეულის გვარი; შემთხვევის მოკლე აღწერა; შემთხვევის დრო და ადგილი;** **6.2.10. ორი სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს მზღვეველს წერილობითი განცხადება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ (გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევები, როდესაც აღნიშნულის გაკეთება შეუძლებელია დამზღვევის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ამ შემთხვევაში მზღვეველს ინფორმაცია შესაძლებელია მიაწოდოს დამზღვევის წარმომადგენელმა).**
სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენის, სადაზღვევო შემთხვევის რეგულირების, სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ფორმა და ვადები	**ავტომობილის დაზღვევის პირობების მე-5 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებული პროცედურები და ვადები.** **5.2.3. მოტოციკლის/კვადროციკლის/ბაგის დაზიანების შემთხვევაში დამზღვევის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მიღებაზე უფლების დადგენის, ასევე სადაზღვევო ანაზღაურების სიდიდის დადგენისა და ყველა სათანადო დოკუმენტაციიის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) საბანკო დღის შემდგომ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება. ძარცვის და ყაჩაღობის შემთხვევაში, თუ მოტოციკლი/კვადროციკლი/ბაგი არ იქნა აღმოჩენილი პოლიციაში განცხადების მომენტიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება. თუ 45 კალენდარული დღის განმავლობაში მოტოციკლი/კვადროციკლი/ბაგი ნაპოვნი იქნება დაზიანებულ მდგომარეობაში, ანაზღაურდება მისთვის მიყენებული ნებისმიერი დაზიანება მე-8 მუხლში გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა.**